ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N 14

2023 წლის 28 აპრილი

დ. სტეფანწმინდა

შესახებყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი“ დანართი N1-ს შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს თანდართული განაცხადის ფორმები დანართი N1 (დელეგაციების მიღებისა და ცალკეული პირების ვიზიტის მომზადებისათვის) და დანართი N2 (გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებისათვის).

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით ქირიკაშვილი

დანართიN1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისა და ხარჯვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ეს წესი აწესრიგებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანი შეხვედრების, მიღებების, სემინარების, კონფერენციების მოწყობასთან, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციების, ასევე საზღვარგარეთის წარმომადგენელთა მიღებასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და უზრუნველყოფს ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

მუხლი 2. წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობა

წარმომადგენლობით ხარჯებს განეკუთვნება:

ა) საერთაშორისო და შიდა დანიშნულების კონფერენციების, სემინარების, თათბირების, მიღებების და შეხვედრებისათვის (მათ შორის, საპატიო მოქალაქეების დაჯილდოვებასთან) გაწეული ხარჯები;

ბ) მუნიციპალიტეტის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის, აგრეთვე სტუმრების მომსახურების უზრუნველსაყოფად გასაწევი ხარჯები, მათ შორის:

ბ.ა) სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები

ბ.ბ) სასტუმროს მომსახურების ხარჯები

ბ.გ) მიღებებისა და წვეულებებისთვის (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) გათვალისწინებული ხარჯები;

ბ.დ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯები;

ბ.ე) სუვენირების შეძენის ხარჯები;

ბ.ვ) მთარგმნელის მომსახურების ანაზღაურების ხარჯები.

მუხლი 3. დაფინანსების წყარო

1. წარმომადგენლობითი ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგენს ღონისძიებათა ჩამონათვალსა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მომავალი წლის ბიუჯეტის მომზადებისას, ითვალისწინებს შესაძლებლობის ფარგლებში.

3. ინფორმაცია, განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად, მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს წარედგინება მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების მოხსენებითი ბარათით, ხოლო, საკრებულოს შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვით.

მუხლი 4. სახსრების ხარჯვის წესი

1. წარმომადგენლობითი ხარჯებით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების შესახებ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ ივსება განაცხადი დანართი №1-ისა და №2-ის შესაბამისად, რომელიც თანხმდება კურატორ მერის მოადგილესთან. შეთანხმების შემდგომ, განაცხადი წარედგინება მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, შემდგომში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარდგენის მიზნით.

2. ღონისძიებების ჩატარების შემდგომ, ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელებაში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების/პირების მიერ წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (საკრებულოს შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვის) საფუძველზე, მერიის ადმინისტრაციული სამსახური მერის სახელზე ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომელიც უნდა მოიცავდეს: ინფორმაციას ღონისძიებაში მონაწილე პირების შესახებ, ღონისძიების მიზანს, მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ამსახველი დოკუმენტები (ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და სხვა). აღნიშნულის საფუძველზე, მერის რეზოლუციით, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.

3. ღონისძიებების ორგანიზება-განხორციელებაში მონაწილე პირები პასუხისმგებელნი არიან ხარჯების მიზნობრივად განკარგვაზე.

4. წარმომადგენლობით ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

დანართი N2

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

დელეგაციების მიღებისა და ცალკეული პირების ვიზიტის მომზადებისათვის
დაბა სტეფანწმინდა _____ წ.

1. განმცხადებელი: _____
(სტრუქტურული ერთეული)
2. გამგზავრების ადგილი: _____
(ქვეყანა, ქალაქი, ორგანიზაცია, ვიზიტის ხანგრძლივობა)

3. ვინ მიემგზავრება:
_____
(თანამდებობა, სახელი, გვარი)

4. ვიზიტის განხორციელებისას გვესაჭიროება:

ა) საკონსულო მომსახურება _____

ბ) სასტუმრო _____

(ქალაქი, ჩასვლის თარიღი, ცხოვრების ხანგრძლივობა)

გ) სამგზავრო ბილეთები _____

(ტრანსპორტის სახეობა, მიმართულება, თარიღი)

დ) საქმიანი შეხვედრები _____

(ქალაქი, ორგანიზაცია, თარიღი, დრო)

ე) კულტურული პროგრამა _____

განმცხადებელი

_____

(სამსახურის უფროსი)

შეთანხმებულია

_____

(კურატორი მოადგილე)

დანართი N3

განცხადება

გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებისათვის

1. განმცხადებელი : _____
(სტრუქტურული ერთეულის დასახელება, თანამდებობის პირის გვარი, სახელი, მამის სახელი)

2. განცხადების შინაარსი: _____
(ღონისძიების დასახელება)

3. ღონისძიების ჩატარების ადგილი: _____
(ქალაქი, დაბა სოფელი)

4. ღონისძიების ჩატარების ვადები: _____
(წელი, თვე, რიცხვი, ხანგრძლივობა)

5. ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა და შემადგენლობა

_____
(რამდენი ოფიციალური პირი მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში და მათი შემადგენლობა)

განმცხადებელი	შეთანხმებულია
_____	_____
(სამსახურის უფროსი)	

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N13

2023 წლის 28 აპრილი

დაბა სტეფანწმინდა

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20- ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისისN26 დადგენილებაში(ვებგვერდი 06.07.2018; სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.151.016254) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ს) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3-ე და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-8 ნაწილით, საქართველოს კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სახდელის დადებას; ადგენს საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და საქართველოს კანონით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით.“

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: დავითი ქირიკაშვილი